საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 10/00 „ 10 " თებერვალი 2012 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

თორნიკე შერმადინი

„10" 02 2012 წელი

ეგზ. N1

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტოს" ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
(01/04/2008-31/12/2010)

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. №96
ტელ.: (+995 32) 438 438; ფაქსი: (+995 32) 438 136;
www.control.ge

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგებები

საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშგება 3

საბალანსო ანგარიშგება 4

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 5

ფინანსური ანგარიშგებების განმარტებები

1. ძირითადი საქმიანობა 7

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები 8

3. ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება 8

4. ინფორმაცია აუდიტის ობიექტის 2008, 2009 და 2010 წლის გადახდებზე (არასაბიუჯეტო სახსრებიდან) 10

5. საბალანსო ანგარიშგება 15

6. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 21

7. სხვა განმარტებები 22

საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშგება
31/12/2010

(ათას ლარებში)

		31/12/2010	31/12/2009	31/12/2008
	განმარტება	საკასო	საკასო	საკასო
ფულის ნაშთი წლის დასაწყისში		4,352	940	2,928
საანგარიშო პერიოდის შემოსავლები	3	**34,359**	**22,920**	**18,798**
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება		-	168	-
მომსახურებით მიღებული შემოსავალი		33,315	22,244	18,423
სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან		247	259	160
ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები		797	249	215
ხარჯები	4	**21,164**	**17,749**	**17,420**
შრომის ანაზღაურება		12,299	10,790	10,337
საქონელი და მომსახურება		3,548	3,468	3,825
სოციალური უზრუნველყოფა		284	260	278
სხვა ხარჯები		5,033	3,230	2,980
საოპერაციო სალდო		***13,195***	***5,171***	***1,378***
არაფინანსური აქტივების ზრდა		**5,848**	**1,592**	**3,366**
მთლიანი სალდო		***7,347***	***3,411***	***-1,988***
ნაშთი წლის ბოლოს		**11,691**	**4,352**	**940**

საბალანსო ანგარიშგება

2010 წლის 31 დეკემბერი

(ათას ლარებში)

	განმარტება	31/12/2010	31/12/2009	31/12/2008	31/12/2007
აქტივები					
ფინასური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	5.1	11,690	4,352	940	2,928
დებიტორული დავალიანებები	5.2	1,090	532	1,198	237
სულ ფინანსური აქტივები		**12,780**	**4,884**	**2,138**	**3,166**
არაფინანსური აქტივები					
ძირითადი აქტივები	5.3	15,148	11,140	9,244	7,448
სხვა მატერიალური მარაგები	5.3	2,401	1,872	1,370	511
სულ არაფინანსური აქტივები		**17,550**	**13,011**	**10,614**	**7,959**
სულ აქტივები		**30,331**	**17,896**	**12,753**	**11,124**
ვალდებულებები და კაპიტალი					
კრედიტორული დავალიანებები	5.4	775	307	955	120
კაპიტალი	6	29,555	17,589	11,798	11,004
სულ ვალდებებულ. და კაპიტალი		**30,331**	**17,896**	**12,753**	**11,124**

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2010 წლის 31 დეკემბერი

(ათას ლარებში)

	განმარტება	31/12/2010	31/12/2009	31/12/2008
წმინდა ღირებულება-ნაშთი წლის დასაწყისში		**7,459**	**5,205**	**4,084**
ზრდა:				
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება		-	168	-
სხვა შემოსავლები		581	-	-
უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი აქტივები		487	3,268	370
უსასყიდლოდ მიღებული მატერ. მარაგები		0	4	-
უსასყიდლოდ მიღებული არაწარმ. აქტივები		1	27	7
სხვა ეკონომიკური ნაკადები		587	-	1,250
წმინდა ღირებულების ზრდა		**1,657**	**3,467**	**1,627**
შემცირება:		-	-	-
უსასყიდლოდ გადაცემული ძირითადიაქტივები		223	1,211	503
უსასყიდლოდ გადაცემული მატერიალური მარაგები		-	-	3
უსასყიდლოდ გადაცემული არაწარმოებული აქტივები		-	1	0
წმინდა ღირებულების შემცირება		223	1,212	506
		-	-	-
წმინდა ღირებულების ნაზრდი		1,434	2,254	1,121
		-	-	-
სულ **წმინდა ღირებულება-წლის ბოლოს**	6.1	8,894	7,459	5,205
სულ **გაუნაწილებელი მოგება-წლის ბოლოს**	6.2	20,662	10,129	6,592
სულ **კაპიტალი -წლის ბოლოს**		29,555	17,589	11,798

შესავალი

აუდიტის საფუძველი	საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 31 აგვისტოს N51/43 ბრძანება; 2011 წლის 4 ნოემბრის 55/43 ბრძანება
აუდიტის ვადა	2011 წლის 5 სექტემბრიდან 2011 წლის 30 ნოემბრამდე

შემოკლებანი

თავმჯდომარე	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს "საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" თავმჯდომარე
სამინისტრო	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წლიური საბიუჯეტო კანონი	საქართველოს კანონი „საქართველოს 2008-2009-2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“
სააგენტო	“საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო”.

1. ძირითადი საქმიანობა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „სახელმწიფო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე. აღნიშნული კანონის თანახმად, სააგენტო აწარმოებს სახელმწიფო რეესტრებს, რომლის მიზანია ერთიანი საჯარო რეესტრისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ფორმირება და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინაშე. თავისი საქმიანობისა და ამოცანების განხორციელების მიზნით კომპეტენციის ფარგლებში სააგენტოს ფუნქციებია:

ა) საჯარო რეესტრისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის წარმოება;
ბ) საჯარო რეესტრისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
გ) საჯარო რეესტრისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
დ) საჯარო რეესტრისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის წარმოებისა და ხელმისაწვდომობის მეთოდური ხელმძღვანელობა და შესაბამისი მითითებების შემუშავება;
ე) საჯარო რეესტრისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფაში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
ვ) სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება, რომლებიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით."

სააგენტო შედგება 75 ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურისაგან (პრინციპი: ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახური თითოეულ მუნიციპალიტეტსა და არამუნიციპალური დაქვემდებარების ქალაქში). 75 ტერიტორიული სარეგისტრაციო ზონიდან 11 არაა განლაგებული საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, თუმცა 68 სარეგისტრაციო ტერიტორიული სამსახური რეალურად ფუნქციონირებს.
სააგენტოს სარეგისტრაციო მომსახურების ძირითადი სახეებია:

- უძრავი ქონების ტრანზაქციების რეგისტრაცია;
- მოძრავ ნივთებსა (გარდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებისა) და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობის, აგრეთვე ლიზინგის უფლების რეგისტრაცია;
- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის რეგისტრაცია;
- საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღა, აკრძალვა) რეგისტრაცია;

- ინდივიდუალურ მეწარმეთა რეგისტრაცია;
- სამეწარმეო იურიდიულ პირთა რეგისტრაცია;
- არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეგისტრაცია.

სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული ვადები და საფასურის განაკვეთები განისაზღვრება „საჯარო რეეტრის შესახებ" საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონის საფუძველზე იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის N4 ბრძანებით დამტკიცებულია ინსტრუქცია „საჯარო რეესტრის შესახებ", რომელიც არეგულირებს რეესტრის წარმოებისა და გაცემის წესებსა და პირობებს, განსაზღვრავს წარმოებაში მონაწილე მხარეებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე მომსახურების საფასურის გადახდის წესს.

აუდიტის პერიოდში საჯარო რეესტრის სააგენტოს საბუღალტრო აღრიცხვისა და მიმდინარე საგადასახადო ანგარიშგების წარმოებას ახორციელებდა აუდიტური და საკონსულტაციო კომპანია შპს „ბიდიო ჯორჯია".

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

სააგენტოს მიერ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია:

ა) საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ";

ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ";

გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია";

დ) ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება;

3. ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება

2008, 2009 და 2010 წლებში სააგენტოსათვის ბიუჯეტის კანონით გამოყოფილია სიმბოლურად ათასი ლარის ასიგნება „საქონელი და მომსახურების" მუხლით, რაც აუთვისებელი დარჩა შესაბამისი წლის ბოლოს.

აუდიტის პერიოდში სააგენტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულია მხოლოდ 2009 წელს 168 ათასი ლარის ოდენობით - ბათუმში იუსტიციის სახლის მშენებლობის ტექნიკური, საბოლოო პროექტის და მის მხატვრულად შესრულებაზე ზედამხედველობის განსახორციელებლად (2009 წლის 21 დეკემბერს სააგენტომ არარეზიდენტი ფიზიკური პირისაგან („architetto Michele De Lucchi S.r.L") შეიძინა არქიტექტურული მომსახურება (50%-იანი თანამონაწილეობით - 55,044 ევროს ღირებულებით).

სააგენტო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს საკუთარი შემოსავლებით უშუალოდ ან თავისი ტერიტორიული სამსახურებისა და ავტორიზებული პირების მეშვეობით (კომერციული ბანკების თუ სხვა კომპანიების სახით), რომლებზეც დელეგირებულია სააგენტოს მომსახურების ოფისის ფუნქციები, რაც მომხმარებლის კომფორტზეა მიმართული (პრინციპი „შენს სახლთან ახლოს“).
სააგენტოს არასაბიუჯეტო შემოსავლები და გადასახდელები დამტკიცებულია თავმჯდომარის ბრძანებებით, სადაც ბიუჯეტის პარამეტრები შემოსავლების ნაწილში მოცემულია კრებსითი მაჩვენებლების სახით კონკრეტული მომსახურებების სახეების ჩაუშლელად.

აუდიტის პერიოდში ბიუჯეტის შესრულება ასე გამოიყურება:

(ათას ლარებში)

	2010		2009		2008	
	გეგმა	შესრულება	გეგმა	შესრულება	გეგმა	შესრულება
საბიუჯეტო დაფინანსება	1	0	168	168	1	0
სხვა შემოსავლები	**32,725**	**34,359**	**21,900**	**22,752**	**23,500**	**18,798**
შემოსავალი მომსახურებიდან	31,700	33,315	21,500	22,244	23,200	18,423
სხვა ეკონომიკ. საქმიანობიდან	255	247	200	259	130	160
დარიცხული პროცენტები	770	797	200	249	170	215
გადასახდელები	**31,485**	**27,012**	**21,109**	**19,340**	**23,480**	**20,786**
შრომის ანაზღაურება	12,714	12,299	11,242	10,790	10,970	10,337
საქონელი და მომსახურება	4,323	3,548	4,146	3,468	5,006	3,825
სოც. უზრუნველყოფა	300	284	300	260	300	278
სხვა ხარჯები	5,256	5,033	3,411	3,230	3,050	2,980
ძირითადი აქტივების შეძენა	8,892	5,848	2,010	1,592	4,154	3,366

შემოსავლების ნაწილში სააგენტოს სამეურნეო ოპერაციები ძირითადად დაკავშირებულია კანონმდებლობით განსაზღვრული სარეგისტრაციო მომსახურების სახეობებთან, საბანკო დეპოზიტებზე არსებული სახსრებიდან საპროცენტო და სხვა ნებადართული საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებთან (ავტორიზაციიდან, რეკლამის განთავსებიდან, იჯარიდან და სხვა):

(ათას ლარებში)

	2010	2009	2008	სულ
შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან	**247**	**259**	**160**	**667**
იჯარა	81	44	27	152
ავტორიზაცია	159	184	127	470
სხვადასხვა	7	31	6	45

სააგენტოს შემოსავლების 98% მოდის სარეგისტრაციო მომსახურებაზე, ხოლო დანარჩენს შეადგენს როგორც ეკონომიკური საქმიანობიდან, ასევე ბანკის პროცენტებიდან მიღებული შემოსავლები. ბანკის ანგარიშებზე დარიცხული პროცენტის ოდენობა წლების მიხედვით შეადგენს 6.5%-დან 9%-მდე. 2010 წელს ბანკიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 797 ათასი ლარი, რაც ნიშნავს წინა წელთან შედარებით 220%-იან ზრდას.

შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა გამოწვეულია მომსახურებების სახეობების გაზრდით და 2010 წელიდან - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სარეგისტრაციო მომსახურების დამატებით (საკანონმდებლო ცვლილება), რაც 2010 წელს გაწეული მომსახურებით მიღებული შემოსავლების 16%-ს შეადგენს (5,366 ათასი ლარი). ასევე, მომხმარებლის კომფორტზე მიმართული სარეგისტრაციო მომსახურებაზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სააგენტოს მიერ გატარებული ღონისძიებებით და დაჩქარებული მომსახურების შემოღებით.

სააგენტო წარმოადგენს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულ პირს. საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული დღგ-ით დაბეგვრის წესების მიხედვით, სააგენტო ვალდებულია ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა და დაბეგვრა აწარმოოს დარიცხვის მეთოდით. „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, სააგენტოს მიერ ფასიანი მომსახურების საფასურის გადახდა ხდება წინასწარ, ხოლო მომსახურებიოს გაწევა - 1-დან 30 სამუშაო დღის ვადაში (მომსახურების სახეობების მიხედვით). აღნიშნულიდან გამომდინარე დასაბეგრი ხდება მხოლოდ მომსახურების ფაქტობრივად გაწევის შემდეგ. ამის მიუხედავად, სააგენტო შემოსავლების აღრიცხვას ახდენს საკასო მეთოდით. ასეთი სააღრიცხვო პოლიტიკის მიზეზად სახელდება ოპერაციათა დიდი სიმრავლე.

4. ინფორმაცია აუდიტის ობიექტის 2008, 2009 და 2010 წლის გადახდებზე (არასაბიუჯეტო სახსრებიდან)

4.1 შრომის ანაზღაურება

<u>2008</u> წელს სააგენტოში გათვალისწინებული იყო 1,247 საშტატო ერთეული, აქედან 868 - თანამშრომელი შტატში, 324 - შტატგარეშე, 20 - სტაჟიორი, ხოლო 35 - ვაკანტური ადგილი.

შრომის ანაზღაურების საკასო ხარჯი შეადგენდა 10,337 ათას ლარს (მათ შორის: 9,490 ათასი - ხელფასი, 843 ათასი - პრემია, 5 ათასი- დანამატის სახით). პრემიის ხელფასთან თანაფარდობამ შეადგინა 9%. სოციალური დახმარება შეადგენს - 277 ათას ლარს.

<u>2009</u> წლის საშტატო ნუსხის მიხედვით სააგენტოში მუშაობდა 933-შტატიანი თანამშრომელი, 277-შტატგარეშე, 39-სტაჟიორი, 48-ვაკანტური ადგილი. სულ - 1,297 საშტატო ერთეული.

შრომის ანაზღაურების საკასო ხარჯი შეადგენდა 10,790 ათას ლარს (მათ შორის: 9,763 ათასი - ხელფასი, 1,027 ათასი-პრემია). პრემიის ხელფასთან თანაფარდობამ შეადგინა 11%. სოციალური დახმარება შეადგენს - 260 ათას ლარს.

2010 წელს საშტატო ნუსხის მიხედვით სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გათვალისწინებულ იყო 1,341 საშტატო ერთეული საიდანაც 990 შტატში მომუშავე თანამშრომელია, 315 - შტატგარეშე, ხოლო 36 ვაკანტური ადგილი.

შრომის ანაზღაურების საკასო ხარჯი შეადგენდა 12,299 ათას ლარს (მათ შორის: 11,007 ათასი - ხელფასი, 1,292 ათასი-პრემია). პრემიის ხელფასთან თანაფარდობამ შეადგინა 12 % სოციალური დახმარება შეადგენს - 285 ათას ლარს.

4.2 მივლინებები

2008 წელს მივლინებებზე ანაზღაურებულია 106 ათასი ლარი (ქვეყნის შიგნით 103 ათასი, ქვეყნის ფარგლებს გარეთ 3 ათასი ლარი), რაც მთლიანი ხარჯის 0,51%-ს შეადგნს.

2009 წელს სამივილიებო ხარჯმა შეადგინა 106 ათასი ლარი ლარი (ქვეყნის შიგნით 95 ათასი, ქვეყნის ფარგლებს გარეთ 11 ათასი ლარი), რაც მთლიანი ხარჯის 0,55%-ია.

2010 წელს სამივილიებო ხარჯმა შეადგინა 64 ათასი ლარი ლარი (ქვეყნის შიგნით 61 ათასი, ქვეყნის ფარგლებს გარეთ 3 ათასი ლარი), რაც მთლიანი ხარჯის 0,24%-ია.

4.3 ოფისის ხარჯები

2008 წელს ოფისის ხარჯი შეადგენდა 1,680 ათას ლარს მათ შორის: შეძენილია საკანცელარიო საქონელი 298 ათასი ლარი; კომპიუტერული ტექნიკის სახარჯი მასალების შეძენისა და მათი შეკეთების ხარჯი-426 თასი; ჟურნალ-გაზეთებისა და სასტამბო ხარჯი-102 ათასი; სამეურნეო მასალები და სხვა წვრილმანი საქონელი-139 ათასი; კომუნალური და შეშის ხარჯი-302 ათასი; სატელეფონო და ინტერნეტ მომსახურება-345 ათასი; საოფისე ავეჯის შეძენის ხარჯი-24 ათასი; საკურიერო (საფოსტო) მომსახურება-25 ათასი; შტრიხ-კოდების წამკითხველი ხელსაწყო-19 ათასი.

2009 წელს ოფისის ხარჯი შეადგენდა 1,491 ათას ლარს მათ შორის: შეძენილია საკანცელარიო საქონელი 100 ათასი ლარი; ანტივირუსის ლიცენზიის, კომპიუტერული ტექნიკის სახარჯი მასალების შეძენისა და მათი შეკეთების ხარჯი-404 ათასი; ჟურნალ-გაზეთებისა და სასტამბო ხარჯი-8 ათასი; სამეურნეო მასალები და სხვა წვრილმანი საქონელი-69 ათასი; კომუნალური და შეშის ხარჯი-367 ათასი; სატელეფონო და ინტერნეტ მომსახურება-391 ათასი; საოფისე ავეჯის შეძენის ხარჯი-16 ათასი; საკურიერო (საფოსტო) მომსახურება-52 ათასი; საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა-67 ათასი; რიგის მარეგულირებელი სისტემის სახარჯი მასალის შესყიდვის ხარჯი-6 ათასი; ფარდა-ჟალუზების განთავსების ხარჯი-11 ათასი.

2010 წელს ოფისის ხარჯი შეადგენდა 1,613 ათას ლარს მათ შორის: შეძენილია საკანცელარიო საქონელი 301 ათასი ლარი; ანტივირუსის ლიცენზიის, კომპიუტერული ტექნიკის სახარჯი მასალების შეძენისა და მათი შეკეთების ხარჯი-256 ათასი ; ჟურნალ-გაზეთებისა და სასტამბო ხარჯი-15 ათასი; სამეურნეო მასალები და სხვა წვრილმანი საქონელი-64 ათასი; კომუნალური და შეშის ხარჯი-428 ათასი; სატელეფონო და ინტერნეტ მომსახურება-385 ათასი; საოფისე ავეჯის შეძენის ხარჯი-50 ათასი ; საკურიერო (საფოსტო) მომსახურება-43 ათასი ; საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა-51 ათასი; რიგის მარეგულირებელი სისტემის სახარჯი მასალის შესყიდვის ხარჯი-11 ათასი; ფარდა-ჟალუზების განთავსების ხარჯი-9 ათასი ლარი.

4.4 ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლის შეკეთებისა და ექსპლოატაციის ხარჯი

2008 წელს ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლის შეკეთებისა და ექსპლოატაციის ხარჯი შეადგენდა 328 ათას ლარს მათ შორის: ავტომობილებისა და სხვა ტექნიკის რემონტისა და შეკეთების ხარჯი-120 ათასი; საწვავის ხარჯი 119 ათასი; ტრანსპორტის იჯარის ხარჯი-38 ათასი; ტრანსპორტის დაცვის ხარჯი-33 ათასი; გადაზიდვის ხარჯი-12 ათას ლარს; გენერატორის ექსპლოატაციის ხარჯი-6 ათას ლარს.

2009 წელს ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლის შეკეთებისა და ექსპლოატაციის ხარჯი შეადგენდა 301 ათას ლარს, საიდანაც საწვავის შესყიდვაზე გაწეულ იქნა 107 ათასი ლარის ხარჯი; ტექნიკის რემონტი და ექსპლოატაციაზე-101 ათასი ლარი; ტრანსპორტის იჯარის ხარჯი-58 ათასი ლარი; ავტომობილის შეკეთების ხარჯი 35 ათასი ლარი.

2010 წელს ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლის შეკეთებისა და ექსპლოატაციის ხარჯი შეადგენდა 359 ათას ლარს მათ შორის: საწვავის ხარჯი 202 ათასი; ავტომობილებისა და სხვა ტექნიკის შეკეთებისა და რემონტის ხარჯი-71 ათასი; ტრნსპორტის იჯარის ხარჯი-39 ათასს; ლიფტების და გათბობის ქვაბის მომსახურების ხარჯი-22 ათასი; გადაზიდვის ხარჯები-14 ათას ლარს; გენერატორის ექსპლოატაციის ხარჯები-11 ათას ლარს.

4.5 წარმომადგენლობითი ხარჯები

წარმომადგენლობითმა ხარჯმა 2008, 2009 და 2010 წლებში შესაბამისად შეადგინა 2.4 ათასი, 18 ათასი და 27 ათასი ლარი.

4.6 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

2008 წელს შეადგენდა 288 ათას ლარს, აქედან 96 ათასი ლარი რეკლამის დამზადების და განთავსების ხარჯი; 59 ათასი ლარი საბუღალტრო და აუდიტორული მომსახურების; სახელშეკრულებო წესით გაწეული მომსახურების და დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები 43 ათასი; მედია მონიტორინგის, პრესაში ინფორმაციის და საინფორმაციო მომსახურების ხარჯი - 28 ათასი; შენობა-ნაგებობებისა და სპორტული დარბაზების იჯარის ხარჯი - 12 ათასი; შენობა ნაგებობების დაცვის ხარჯი-11ათასი;

სადიზაინერო მომსახურება-10ათასი; სათარჯიმნო მომსახურეობის და რეგისტრაციის წარმოების სტატისტიკური ანალიზის ხარჯი - 10ათასი; სატელეფონო ოპტიკური ხაზის შეყვანა - 9 ათასი ლარი. ბანკის მომსახურების ხარჯი - 6 ათასი; სახანძრო დაცვის, სეიფების იჯარის, ინფორმაცული ტექნოლოგიების სფეროში საკონსულტაციაო მომსახურების ხარჯი - 4 ათასი;

2009 წელს შეადგენდა 199 ათას ლარს. აქედან 80 ათასი ლარი საბუღალტრო და აუდიტორული მომსახურების; რეკლამის დამზადებისა და განთავსების ხარჯი - 25 ათასი; სახელშეკრულებო წესით გაწეული მომსახურების ხარჯი-20 ათასი; მედია მონიტორინგის, პრესაში ინფორმაციის და საინფორმაციო მომსახურების ხარჯი-19 ათასი; დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები-15 ათასი; საექსპერტო კვლევის ხარჯი - 9 ათასი; საპროექტო მომსახურების ხარჯი - 5ათასი; სპეციალურად დაქირავებული მაკონტროლებელი მომხმარებლის ხარჯი - 5 ათასი; სათარჯიმნო მომსახურეობის ხარჯები 4 ათასი; ტენდერის გამართვის ხარჯი - 4 ათასი; ბანკის მომსახურების ხარჯი - 4 ათასი; სატელეფონო ოპტიკური ხაზის შეყვანის ხარჯი - 5 ათასი ლარი; კონდენცირების, ვენტილაციის და გათბობის სისტემის პროექტირების, სესიების, შენობა-ნაგებობებისა და სპორტული დარბაზების იჯარის და სახანძრო დაცვის ხარჯი - 4 ათასი ლარი;

2010 წელს შეადგენდა 396 ათას ლარს აქედან 68 ათასი ლარი საბუღალტრო და აუდიტორული მომსახურების; რეკლამის დამზადებისა და განთავსების ხარჯი - 50 ათასი; საკადასტრო მონაცემების აღწერა და დიგიტალიზაცია - 49 ათასი; სახელშეკრულებო წესით გაწეული მომსახურების ხარჯი - 48 ათასი; საკადასტრო რუკების გადაწერა-გადატანის მომსახურების ხარჯი - 48 ათასი; მედია მონიტორინგის, პრესაში ინფორმაციის და საინფორმაციო მომსახურების ხარჯი - 19 ათასი; სვანეთის რეგიონის საკადასტრო მონაცემების აღწერის ხარჯი - 19 ათასი ლარი; შენობა-ნაგებობებისა და სპორტული დარბაზების იჯარის ხარჯი - 17 ათასი; სპეციალურად დაქირავებული მაკონტკოლებელი მომხმარებლის ხარჯი - 14 ათასი; სათარჯიმნო მომსახურეობის ხარჯები - 10 ათასი; სტატიკური საერთაშორისო აი-პი მისამართების მიღების მომსახურების ხარჯი - 9 ათასი; არქივის შენახვისა და მომსახურების ხარჯი - 9 ათასი; სესიების, კონფერენციების და სემინარების მოწყობის ხარჯი - 9 ათასი; გენერატორების მონტაჟის-დემონტაჟის და გადატანის ხარჯი - 9 ათასი; ტენდერის გამართვის ხარჯი -6 ათასი; სააგენტოს ახალი ვებ-გვერდის დიზაინის და დამზადების ხარჯი - 5 ათასი; ინფორმაციული პროგრამების შეძენის ხარჯი - 3 ათასი; სატლეფონო ოპტიკური ხაზის შეყვანის ხარჯი 2 ათასი; საექსპერტო კვლევის ხარჯი - 1 ათასი; სახანძრო დაცვის ხარჯი - 1 ათასი;

4.7 სხვა ხარჯები

2008 სულ გაწეულია 2,980 ათასი ლარის ხარჯი აქედან 2,704 ათასი ლარი ბიუჯეტთან ანგარიშსწორება; 151 ათასი - დაზღვევის ხარჯები, ხოლო 118 ათასი სასამართლოს მიერ დაკისრებული გადასახდელები; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები - 7 ათასი ლარი.

2009 სულ გაწეულია 3,230 ათასი ლარის ხარჯი, აქედან 2,851 ათასი ლარი ბიუჯეტთან ანგარიშსწორება; 355 ათასი - დაზღვევის ხარჯები; 24 ათასი სასამართლოს მიერ დაკისრებული გადასახდელები;

2010 სულ გაწეულია 5, 034 ათასი ლარის ხარჯი, აქედან 4,546 ათასი ლარი ბიუჯეტთან ანგარიშსწორება, 372 ათასი - დაზღვევის ხარჯები; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები - 104 ათასი ლარი, ხოლო 12 ათასი სასამართლოს მიერ დაკისრებული გადასახდელები;

4.8 არაფინანსური აქტივები

2008 გაწეულია 3,369 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის: სხვა დანარჩენი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები და სხვადასხვა გაყვანილობების მონტაჟის ხარჯი - 1,049 ათასი; კომპიუტერული და სხვა საოფისე ტექნიკისა და მოწყობილობების შეძენის და კომპიუტერული ქსელის მოწყობის და მისი მაკომპლექტებელი დეტალების შესყიდვის ხარჯი - 1,034 ათასი; იუსტიციის სახლის მშენებლობა (გორის იუსტიციის სახლი) – 768 ათასი; არამატერიალური ძირითადი აქტივები - 200 ათასი ლარი; საარქივო სტელაჟების დამზადების, მონტაჟისა და დემონტაჟის ხარჯი - 103 ათასი ლარი; გენერატორების ფარდულების და საწვავის შესანახი ავზების დამზადებისა და მონტაჟის ხარჯი - 89 ათასი, საოფისე ავეჯის შესყიდვის ხარჯი (500 ლარს ზემოთ) - 61 ათასი; სხვა ძირითადი აქტივის ხარჯი - 52 ათასი; საპროექტო - არქიტექტურული მომსახურების ხარჯი - 13 ათასი;

2009 გაწეულია 1,592 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის: კომპიუტერული და სხვა საოფისე ტექნიკისა და მოწყობილობების შეძენის და კომპიუტერული ქსელის მოწყობის და მისი მაკომპლექტებელი დეტალების შესყიდვის ხარჯი - 817 ათასი; სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები და სხვადასხვა გაყვანილობების მონტაჟის ხარჯი - 468 ათასი; პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების განახლების სერთიფიკატების მიღების ხარჯი - 105 ათასი; აჭარის იუსტიციის სახლის ასაშენებლად აუცილებელი არქიტექტურული პროექტის შედგენის და საპროექტო - არქიტექტურული მომსახურების ხარჯი - 51 ათასი; მოქალაქეთა გამყოფი-გამანაწილებელი თეჯირის შესყიდვის, მონტაჟი-დემონტაჟი და გადაკეთების ხარჯი - 49 ათასი; გეოლოგიური კვლევის ხარჯი - 50 ათასი; საარქივო სტელაჟების დამზადების, მონტაჟისა და დემონტაჟის ხარჯი - 39 ათასი; სხვა ხარჯი - 13 ათასი ლარი;

2010 გაწეულია 5,848 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის: იუსტიციის სახლის მშენებლობაზე (აჭარისა და რუსთავის იუსტიციის სახლი) – 2,176 ათასი; კომპიუტერული და სხვა საოფისე ტექნიკისა და მოწყობილობების შეძენის, კომპიუტერული ქსელის მოწყობის და მისი მაკომპლექტებელი დეტალების შესყიდვის ხარჯი - 1,466 ათასი; სხვა დანარჩენი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები - 815 ათასი ლარი; ციფრული ორთოფოტოების დამზადებისა და მოწოდების ხარჯი - 524 ათასი; სატელიტური თანამგზავრის მეშვეობით საქართველოს სასაზღვრო ტერიტორიების

ფოტოგრაფირების ხარჯი - 425 ათასი; საქართველოს ციფრული საყრდენი რუკის ფორმირებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოძიება-მოწოდების მომსახურეობის შესყიდვის ხარჯი - 244 ათასი ლარი; ავტომანქანის „ტოიოტა ლენდ კრუიზერის "LC 150" შესყიდვის ხარჯი - 95 ათასი; სამშენებლო სამუშაოების საკონსულტაციო - სარეკომენდაციო მომსახურება, პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების განახლება, საპროექტო - არქიტექტურული მომსახურება, გეოლოგიური კვლევის ხარჯი - 83 ათასი; ე.წ. ჯი-პი-ეს სადგურების ტრანსფორმატორების, გადამყვანების და მზის ელემენტების შესყიდვის ხარჯი - 20 ათასი;

5. საბალანსო ანგარიშგება

5.1 ფული და ფულის ექვივალენტები

ფინანსურ აქტივებში ასახულია სააგენტოს საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთები. მიმდინარე საქმიანობის განსახორციელებლად სააგენტოს გახსნილი აქვს სს „საქართველოს ბანკში" შვიდი, სს „ლიბერთი ბანკში" ერთი, სს „პროკრედიტბანკში" ერთი და სს „თიბისი ბანკში" ერთი საანგარიშსწორებო ანგარიში. აუდიტის პერიოდში აღნიშნულ ანგარიშებზე ნაშთები შეადგენდა: 01/01/2008წ - 2,928 ათას, 01/01/2009წ - 940 ათას, 01/01/ 2010წ - 4,352 ათას და 01/01/2011წელს-11,690 ათას ლარს. 2008 წლის ბოლოს საბანკო ანგარიშზე ნაშთის შემცირება (უარყოფითი სალდოს წარმოქმნა) გამოწვეულია ქვეყანაში განვითარებული მოვლენებით.

5.2 დებიტორული დავალიანება

2008 წლის 1 იანვრიდან ბუღალტრული აღრიცხვის ახალ ანგარიშთა გეგმაზე გადასვლასთან დაკავშირებით უნდა განხორციელებულიყო 2008 წლამდე მოქმედ ანგარიშებზე რიცხული ნაშთების დეტალური ანალიზი (კონვერსიის მიზნებისთვის) და ნაშთების ახალ ანგარიშებზე გადატანის ოპერაციები.

დადგინდა რომ, სააგენტო არასწორად ასახავდა დებიტორულ/კრედიტორულ დავალიანებებს. იმის გათვალისწინებით, რომ 2008 წლამდე მოქმედი წესების მიხედვით მოთხოვნა/ვალდებულებების ანგარიშები იყო აქტიურ-პასიური, ხოლო 2008 წლიდან ახალი მეთოდოლოგიით აღნიშნული ანგარიშები ახალი ანგარიშთა გეგმის მიხედვით უნდა აღრიცხულიყო ცალ-ცალკე, კერძოდ მოთხოვნები N1400 და ვალდებულებები N 3200 სინთეზურ ანგარიშებზე - აღნიშნული, სააგენტოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული. შედეგად, ბუღალტრულ ბაზაში გვხვდება ვალდებულებების სადებეტო და მოთხოვნების საკრედიტო საწყისი ნაშთები, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ სააღრიცხვო პოლიტიკას.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით 2008 წლის 1 იანვრისათვის სააგენტოს N1442 ანგარიშზე (მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით) ერიცხებოდა 2,537 ლარი, რომელიც 2009 წლის ბოლოს გადატანილ იქნა N1423 ანგარიშზე (ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები) და 2010 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 18,200 ლარი. აღნიშნული დავალიანება ბუღალტრულ ბაზაში საწყის ნაშთად ასახული იყო საკრედიტო N3231 ანგარიშის (გადასახდელი

ხელფასები შტატით მომუშავეთათვის) დებეტში, რომელიც წარმოადგენდა სახელფასო დავალიანებებს. აქედან გამომდინარე, 2009 წლის საწყისი და საბოლოო ნაშთები შინაარსობრივად არ შეესაბამება ერთმანეთს - კერძოდ, 2009 წლის საწყისი ნაშთი წარმოადგენს სახელფასო დავალიანებას (მოთხოვნას), ხოლო საბოლოო ნაშთი მომწოდებლების მიმართ მოთხოვნებს. ანუ, აღნიშნული დავალიანებები ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ანგარიშების მიხედვით.

ამასთან, 2008 წელს N3231 ანგარიშის (გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის) საწყისი სადებეტო ნაშთი გაზრდილია და 2010 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 18,791 ლარს, ხოლო 2010 წლის 31 დეკემბრისათვის 18,200 ლარს. აუდიტის მიმდინარეობისას (სააგენტოს მიერ მიღებული განმარტებიდან) გაირკვა, რომ აღნიშნული წარმოადგენს სახელფასო ოპერაციებთან დაკავშირებულ თანხებს, რომლის შესაბამისი დარიცხვებიც არასწორად არის ნაწარმოები, რის მიზეზადაც სახელდება თავდაპირველად დარიცხულ ხელფასებზე კორექტირებების გაუთვალისწინებლობა, რაც უკავშირდება შეწყვეტილ შვებულებებს, ან დაგვიანებით წარმოდგენილ ბიულეტენებს.

აუდიტის პერიოდში დებიტორული დავალიანება გაზრდილია 852,969 ლარით და 2010 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 1,090,431 ლარი. აღნიშნული დავალიანებიდან 659,550 ლარი წარმოადგენს ბიუჯეტის მიმართ მოთხოვნებს, 414,576 ლარი - მომწოდებლების მიმართ დავალიანებას, ხოლო 18,200 ლარი ზემოაღნიშნულ სახელფასო ოპერაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

ამასთან, მომწოდებლების მიმართ დავალიანებებიდან სააგენტოს ბალანსზე ირიცხებოდა 30,365 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც მომდინარეობს 2005-2006 წლებიდან. აღნიშნული დავალიანება რეალურად არ წარმოადგენს სააგენტოს მოთხოვნას შპს „კავკასიის კონსალტინგური ჯგუფისადმი“ 26,073 ლარის ოდენობით და შპს „ესაბისადმი“ 4,292 ლარის ოდენობით. სააგენტოს განმარტებით და მათ მიერ წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ აღნიშნული გამოწვეული იყო პირველადი დოკუმენტების არასწორი ასახვით, შპს „კავკასიის კონსალტინგური ჯგუფთან “ მიმართებაში, ხოლო 2006 წელს საჯარო რეესტრსა და საერთაშორისო ორგანიზაცია „SIDA“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, „SIDA“-ს სააგენტოსთვის უნდა მიეწოდებინა უსასყიდლოდ კომპუტერული ტექნიკა. ტექნიკის შემოტანა „SIDA“-მ დაუკვეთა შპს „ესაბს“. კომპიუტერული ტექნიკის შემოტანისას შპს „ესაბსა“ და „SIDA“-ს შორის გაფორმდა ა/ფაქტურები NN 455374; 553113; 398914. სააგენტოში აღნიშნული ფაქტურები ჩაითვალა, როგორც სააგენტოსა და შპს „ესაბს“ შორის ტექნიკის მიწოდების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია, რამაც წარმოშვა არ არსებული დავალიანება.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს გენერალური ინსპექციის საფინანსო-სარევიზიო სამმართველოს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად დასკვნაშიც მითითებულია აღნიშნული დავალიანების ხანდაზმულობიდან გამომდინარე გასატარებელი

ღონისძიებების თაობაზე, 2010 წლის 31 დეკემბრისათვის აღნიშნული დავალიანება კვლავ ირიცხებოდა სააგენტოს ბალანსზე.

ამდენად, სააგენტოსადმი აღნიშნული დავალიანებები წარმოშობისთანავე არარეალური იყო და შესაბამისი შიდა კონტროლის არსებობის შემთხვევაში (დებიტორ-კრედიტორებთან ყოველწლიურად ურთიერთშედარების აქტების გაფორმება) ექვემდებარებოდა კორექტირებას. [1]
აუდიტის მიმდინარეობისას აღნიშნული საკითხი დაზუსტდა, რომელიც მოითხოვს კორექტირებას 2011 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

5.3 არაფინანსური აქტივები

აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ სამინისტროში წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება ზემოაღნიშნული შეცდომების გარდა, შეიცავდა სხვადასხვა სახის უზუსტობებს, რის შედეგადაც საბალანსო ანგარიშებზე ნაშთები არ შეესაბამებოდა რეალობას. უზუსტობების ნაწილი კორექტირდებოდა საგადასახადო მიზნებისათვის და ასევე დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლენილი გადაცდომების საფუძველზე, თუმცა სამინისტროში ანგარიშგების წარდგენამდე (ასევე, წლის მიმდინარეობისას) შესაძლებელი იყო არსებული უზუსტობების დადგენა და შესაბამისად შესწორებების შეტანა. კერძოდ:

5.3.1 „არასაცხოვრებელი შენობების“ ანგარიშზე

2008 წელს - სამშენებლო/სარემონტო სამუშაოებზე გაწეული ხარჯები - 416 ათასი ლარის ოდენობით, ნაცვლად კაპიტალიზაციისა ჩამოწერილია მიმდინარე ხარჯებში (სიღნაღის, ლაგოდეხის, ოზურგეთის, ახალციხის, სააგენტოს ცენტრალური ოფისის კაპიტალური რემონტი); [2]

2009 წელს - სააგენტოს მიერ 31 ივლისს უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოსთვის გადაცემული იქნა სააგენტოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ქ. გორში. შესაბამისად ბალანსიდან უნდა მომხდარიყო ამ შენობის ღირებულების (51 ათასი ლარის) ჩამოწერა, ნაცვლად 696 ათასი ლარის. შესაბამისად წლის ბოლოს ცვეთის გათვალისწინებით სხვაობა შეადგენს - 639 ათას ლარს.
სააგენტოს თელავის მუნიციპალიტეტისაგან უსასყიდლო უზუფრუქტის სახით გადმოეცა ქ. თელავში 29 ათასი ლარის ღირებულების მდებარე შენობის ნაწილი,

---

[1] საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ დებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

[2] ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის ინსტრუქციის 25-ე მუხლის მოთხოვნები.

ბუღალტრულად კი აღნიშნული ქონება ასახულ იქნა 86 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად წლის ბოლოს ცვეთის გათვალისწინებით სხვაობა შეადგენს - 57 ათას ლარს. სულ 2009 წელს „არასაცხოვრებელი შენობების" საბალანსო ღირებულება შემცირებულია - 582 ათასი ლარით.

2010 წელს - სააგენტოს სამსახურების შენობებზე (ცენტრალური ოფისის, თბილისის, ახალციხის, ამბროლაურის) გაწეული სამუშაოები აისახა მიმდინარე პერიოდის ხარჯებში. შედეგად „არასაცხოვრებელი შენობების" საბალანსო ღირებულება შემცირებულია - 127 ათასი ლარით.

5.3.2 დაუმთავრებელი მშენებლობა

2009 წელს - აჭარის იუსტიციის სახლის, წალენჯიხასა და ბათუმის ოფისების მშენებლობებზე (ი/მ ეკა გოგმაჩაძე, შპს „გეოტექსერვიცი", „architetto Michele De Lucchi S.r.L" - გეოლოგიური კვლევები, არქიტექტურული სამუშაოები) მისაკუთვნებელი სამუშაოების ღირებულებები აღიარდებოდა ხარჯად, რის შედეგადაც „დაუმთავრებელი მშენებლობის" ანგარიში წარმოდგენილია - 49 ათასი ლარით ნაკლები ღირებულებით.

2010 წელს - შეცდომით არის გატარებული (გაორებულია) შპს „პრომერი+"-ისა და შპს „ალგეთის" მიერ შესაბამისად ბათუმის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე 186 ათასი ლარის და არქივის სამშენებლო სამუშაოებზე გაწეული 120 ათასი ლარის სამუშაოები. სულ აღნიშნული ანგარიში წარმოდგენილია 306 ათასი ლარით ზედმეტი ღირებულებით. შედეგად, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წინა წლის ცვლილებების გათვალისწინებით „დაუმთავრებელი მშენებლობის" ანგარიშზე 2,683 ათასი ლარის ნაცვლად, უნდა ასახულიყო 2,377 ათასი ლარის ღირებულების დაუმთავრებელი სამუშაოები.

5.3.3 მანქანა/დანადგარები და ინვენტარი

2009 წელს-მიმდინარე ხარჯებსა და მატერიალური მარაგებში არასწორად გატარების შედეგად „მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარის" ანგარიშზე ნაშთი შემცირებულია 121 ათასი ლარით (სხვადასხვა მომწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები: კონდენცირება/ვენტილაცია-მ. გიგოლაშვილი; რიგის მართვის სისტემის მოწოდება/დამონტაჟება-შპს „აი-ეს-ეი"; გათბობის სისტემის/ქვაბის დამონდაჟება-შპს „ტექნოიმპორტი"; სარეზერვო ელ.მომარაგების სისტემა-შპს „ელექტრონი").

2010 წელს-მატერიალური მარაგების ანგარიშზე შეცდომით გატარების შედეგად ანგარიშზე ნაშთი გაზრდილია -253 ლარით. (შპს „ალტა" 197.15 იყო მარაგებში და ი/მ ჭიჭიკო გოლეთიანი-450 ლარი).

5.3.4 სხვა ძირითადი აქტივები

2010 წელს - ანგარიშზე ნაშთი შემცირებულია 202 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია 2010 წელს ცვეთის არასწორი ნორმის გამოყენებით (გამოყენებულია საგადასახადო მიზნებისათვის 15%, ნაცვლად 10%-სა).[3]

5.3.5 მატერიალური მარაგები

როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს ბიდიოსა და საჯარო რეესტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად შპს ბიდიო იღებდა ვალდებულებას ეწარმოებინა საბუღალტრო აღრიცხვა. საბუღალტრო პროგრამაში შპს ბიდიო სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცხვას და ჩამოწერას აწარმოებდა თანხობრივად (ინდივიდუალურად) სააგენტოს მიერ მოწოდებული პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მარაგების რაოდენობრივ კონტროლს ახორციელებდა სააგენტო.

შპს ბიდიოს მიერ წარმოდგენილი განმარტების საფუძველზე დადგინდა, რომ 2008, 2009 და 2010 წლების საბუღალტრო ბაზაში სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა (ექსპლოატაციაში გადაცემა) არ ხორციელდებოდა სრულყოფილად, რომლის მიზეზადაც ძირითადად სახელდება ის გარემოება, რომ სააგენტოს მიერ მათთვის მიწოდებული დოკუმენტები მოიცავდა მხოლოდ რაოდენობრივ მონაცემებს, ასევე ასახული მარაგების დასახელებების იდენტიფიცირების შეუძლებლობა საბუღალტრო ბაზაში არსებულ დასახელებებთან, რის შედეგადაც რეალურად ხდებოდა მხოლოდ იმ მატერიალური მარაგების ჩამოწერა (ექსპლოატაციაში გადაცემა), რომლის იდენტიფიცირებაც შესაძლებელი იყო.

შედეგად, აუდიტის პერიოდში ჩამოწერას დაექვემდებარა 993 ათასი ლარი. მათ შორის წინა წლების გათვალისწინებით: 2008 წელს 396 ათასი, 2009 წელს 311 ათასი და 2010 წელს 314 ათასი ლარი. აღნიშნულის გათვალისწინებით საგადასახადო კუთხით დაკორექტირდა მოგებისა და ქონების დეკლარაციები წლების მიხედვით, რაც შეთანხმებულია სამინისტროსთან და დასტურდება წერილობით, ხოლო საბუღალტრო ბაზა ექვემდებარება კორექტირებას 2011 წელს.

[3] ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის ინსტრუქციის 50-ე მუხლის 41 პუნქტის მოთხოვნა.

5.3 არაფინანსური აქტივები

(ათას ლარებში)

	შენობა ნაგებობები	სატრანსპ. საშუალებები	სხვა მანქანა - დანადგარები და ინვენტარი	არამატერ. ძირითადი აქტივები	დაუმთავ. მშენებლ.	სხვა ძირ აქტივები	მიწა	მატერ. მარაგები	სულ
ნაშთი 31/12/2008	**3,062**	**167**	**4,324**	**1,016**	**0**	**457**	**220**	**1,371**	**10,615**
შესყიდვა	**184**	**0**	**429**	**55**	**148**	**136**	**0**	**894**	**1,845**
უსასყიდლოდ	**2,950**	**309**	**9**	**0**	**0**	**0**	**27**	**4**	**3,299**
სხვა შემოსავლებით	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
ნებაყოფ.ტრანსფერი	**0**	**0**	**448**	**42**				**22**	**513**
საკუთარი სახსრებით	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
სულ მიღება:	**3,134**	**309**	**886**	**97**	**148**	**136**	**27**	**920**	**5,657**
უსასყიდლოდ	**895**	**316**	**0**	**0**	**0**	**0**	**1**	**0**	**1,212**
სხვა ეკ. ნაკადები	**0**	**0**	**0**	**0**	0	**0**	**1**	**0**	**6**
ძირ.კაპ-ის მოხმარება	**54**	**27**	**1,301**	**172**	2	73	**0**	**0**	**1,626**
საქ.და მომსახ-ბით	**0**	**0**	**0**	**0**	0	0	**0**	**418**	**418**
სულ გასვლა:	**949**	**343**	**1,301**	**172**	2	73	**2**	**418**	**3,263**
ნაშთი 31/12/2009	**5,248**	**132**	**3,909**	**941**	146	**520**	**244**	**1,872**	**13,008**
შესყიდვა	**34**	**95**	**1,149**	**1,061**	**2,493**	**10**	**0**	**939**	**5,780**
უსასყიდლოდ	**409**	**70**	**8**	**0**	**0**	**0**	**1**	**0**	**488**
სხვა შემოსავლებით	**0**	**0**	**117**	**0**	**49**	**0**	**0**	**4**	**170**
სხვა ეკ. ნაკადები	**582**	**0**	**5**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**587**
სულ მიღება:	**1,025**	**164**	**1,278**	**1,061**	**2,542**	**10**	**1**	**943**	**7,025**
უსასყიდლოდ	**114**	**95**	**0**	**0**	**0**	**13**	**0**	**0**	**223**
სხვა ეკ. ნაკადები	**0**	**0**	**0**	**0**	**5**	**0**	**1**	**3**	**9**
ძირ.კაპ-ის მოხმარება	**62**	**34**	**1,257**	**417**	**0**	**74**	**0**	**0**	**1,845**
საქ.და მომსახ-ბით	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**402**	**402**
სულ გასვლა:	**177**	**129**	**1,257**	**417**	**5**	**87**	**1**	**405**	**2,478**
ნაშთი 31/12/2010	**6,096**	**167**	**3,930**	**1,585**	**2,683**	**442**	**245**	**2,409**	**17,557**

63

5.4 კრედიტორული დავალიანება

სამინისტროში წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებისა და შპს „ბიდიოს“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აუდიტის პერიოდში კრედიტორული დავალიანება გაზრდილია 655 ათასი ლარით და 2010 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 775 ათასი ლარი. მთლიანი კრედიტორული დავალიანების 43% ირიცხება „საქონელი და მომსახურების“ (ძირითადად კომუნალური, სატელეფონო მომსახურებაზე და სხვადასხვა მომწოდებლების მიმართ) მუხლით 331 ათასი ლარის ოდენობით. ხოლო 12 ათასი ლარი წარმოშობილია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით.

დადგინდა, რომ 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულებების რეალური ოდენობა „სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანების“ ანგარიშზე გაზრდილია 217 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია: წლის დამთავრების შემდგომ ა/ფაქტურების დაგვიანებით მოწოდებით (შპს „იგლექსპრესი“-5 ათასი), ა/ფაქტურების არასწორად გატარებით (შპს „პრომერი+“ 219 ათასი, სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“ 3 ათასი). რეალურად აღნიშნულ ანგარიშზე რიცხული დავალიანება ნაცვლად 331 ათასი ლარისა, შეადგენს 114 ათას ლარს (331-217).

6. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

6.1 წმინდა ღირებულება

<u>2008 წელს</u> - 2007 წელს აუქციონზე ჯართის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი შეადგენდა 1,4 ათასი ლარს. აღნიშნული შემოსავლების ანგარიშის გადახურვა არ განხორციელებულა წმინდა ღირებულების ანგარიშზე, რის შედეგადაც 2008 წლის საწყისი ნაშთი წამოდგენილია აღნიშნული თანხით ნაკლები ოდენობით. სხვა მოცულობითი ცვლილების ანგარიშზე ასახულია ნებაყოფლობითი ტრანსფერები, რომელიც უნდა ასახულიყო სხვა შემოსავლების ანგარიშზე. სულ მიღებული ტრანსფერი 2008 წლის განმავლობაში შეადგენდა 1,248 ათასი ლარის მატერიალურ და არამატერიალურ ფასეულობებს (მათ შორის: KFW (მიწისა და კადასტრის რეგისტრაციის პროექტის ფარგლებში)-932 ათასი, მსოფლიო ბანკიდან 163 ათასი, SIDA-ს პროექტის ფარგლებში – 75 ათასი, სხვადასხვა -77 ათასი ლარი). აღნიშნული ფასეულობანი ძირითადად წარმოდგენილია კომპიუტერული ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფისა და 40 ათასი ლარის ღირებულების 3 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალების (KFW-დან) სახით.

<u>2009 წელს</u> - წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში წმინდა ღირებულების ანგარიშზე ნაშთი შემცირებულია 1,168 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია ზემოაღნიშნული უზუსტობებითა (შენობა-ნაგებობებისა და არაწარმოებული აქტივის ანგარიშზე ცვლილებებით) და წლის ბოლოს ნებაყოფლობითი ტრანსფერით მიღებული შემოსავლებისა და ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების გაუთვალისწინებლობით

(არ გადახურულა). შედეგად წმინდა ღირებულების ანგარიშზე ნაშთი ნაცვლად 8,627 ლარის ოდენობისა, შეადგენდა 7,459 ათას ლარს. სულ მიღებული ტრანსფერი 2009 წლის განმავლობაში შეადგენდა 581 ათას ლარს (მათ შორის SIDA-ს პროექტის ფარგლებში-545 ათასი ლარის კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა „Arc GIS Server Standard Workgroup" 36 ათასი ლარის ღირებულების).

6.2 გაუნაწილებელი მოგება

ზემოაღნიშნული ცვლილებების საფუძველზე შესაბამისი გატარებების განხორციელების შედეგად გაუნაწილებელი მოგება 2009 წლის 31 დეკემბრისათვის გაზრდილია - 1,018 ათასი ლარით და 2010 წლის 31 დეკემბრისათვის შემცირებულია 68 ათასი ლარით. შედეგად 2010 წლის 31 დეკემბრისათვის გაუნაწილებელი მოგება 20,662 ათასი ლარის ნაცვლად შეადგენდა 20,730 ათასი ლარს.

7. სხვა განმარტებები

7.1 - ფინანსური ანგარიშგების მომზადება

როგორც ზემოთ აღინიშნა, აუდიტის პერიოდში საჯარო რეესტრის სააგენტოს საბუღალტრო აღრიცხვას, მიმდინარე საგადასახადო ანგარიშგების წარმოებას, ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების მომზადებასა და წარდგენას ახორციელებდა აუდიტური და საკონსულტაციო კომპანია შპს „ბიდიო ჯორჯია".

დადგინდა, რომ ზემოთ მითითებული უზუსტობები ძირითადად გამოწვეულია სააგენტოსა და შპს „ბიდიოს" შორის არაკოორდინირებულობით. სააგენტოს მიერ 2008 წლის 2 დეკემბრის N875 ბრძანებით „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცალკეული თანამშრომლებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ", გაწერილია სტრუქტურული სამსახურების უფლება-მოვალეობანი, გარდა საფინანსო სამსახურისა.

მოქმედი წესების თანახმად ორგანიზაციაში ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საბუღალტრო სამსახური, ხოლო სამსახურის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ორგანიზაციის მიერ დაქირავებული შრომის გამოყენება. სააგენტოს გააჩნია საფინანსო სამსახური, სადაც შტატით ირიცხება მთავარი ბუღალტერი. ასეთ შემთხვევაში ზემოაღნიშნული კომპანიის მომსახურების შესყიდვა დამატებით ხარჯებს უკავშირდება ზემოაღნიშნული ფაქტების (უზუსტობების) გათვალისწინებით.[4]

აუდიტის პერიოდში სააგენტო საცნობარო მუხლების არც ერთ ანგარიშზე არ ახორციელებდა შესაბამისი თანხების ასახვას. არ არის ასახული ამორტიზირებული ძირითადი აქტივები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოწერამდე. არ არის

[4] ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტის მითხოვნა.

აღრიცხული ექსპლოატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები,[5] რაც გამორიცხავდა ზემოაღნიშნული ჩამოწერას დაქვემდებარებული ექსპლოატაციაში გადაცემული მარაგების გამორჩენას, ასევე არ არის ასახული სხვა ორგანიზაციებისაგან იჯარით მიღებული აქტივები, იჯარის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ღირებულებით. ზემოაღნიშნული ფაქტები ზრდის ნაერთ ბალანსში შეცდომების ალბათობას.[6]

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ თავმჯდომარის მიერ ყოველწლიურად გამოიცემოდა ბრძანებები ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით მუდმივმოქმედი საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე - მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩასატარებლად, თუმცა ბრძანებებში არ არის მითითებული ინვენტარიზაციის დაწყებისა და დასრულების თარიღი. აღნიშნულთან დაკავშირებით ოფიციალურად შედეგი არ გაფორმებულა (თუმცა წარმოდგენილია ინვენტარიზაციის ელექტრონული სამუშაო ვერსია). როგორც გაირკვა, სააგენტოს მიერ სისტემის მასშტაბით (რეგიონების ჩათვლით) ინვენტარიზაცია დასრულდა აუდიტის მიმდინარეობისას, თუმცა აუდიტის ჯგუფისთვის ოფიციალური შედეგი სააგენტოს არ წარმოუდგენია.[7]

როგორც ირკვევა, სააგენტოს 2010 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას სრულად არ გაუთვალისწინებია წინა პერიოდების კორექტირებები და საწყისი ნაშთები არასწორად იქნა წარდგენილი (მექანიკურად გადმოტანილი წინა წლის ბოლო შედეგები) და არც განმარტებითი შენიშვნები იქნა დართული, სადაც ახსნილი იქნებოდა საწყისი ნაშთებთან დაკავშირებული ცვლილებები. სააგენტომ აუდიტის მიმდინარეობისას დააზუსტა 2010 წლის ბოლოს საბალანსო ანგარიშების ნაშთები, რაც ექვემდებარება დაკორექტირებას და ახსნას 2011 წლის ანგარიშგებაში თანდართული განმარტებითი შენიშვნებით (იმის გათვალისწინებით, რომ უკვე წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესაბამის საბუღალტრო ბაზაში ცვლილებები არ შეიტანება).

---

5 ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის ინსტრუქციის 28-ე მუხლის მე-10 პუნქტის, 59-ე მუხლის მე-6 პუნქტის და 71-ე მუხლის მე-7 და მე-11 პუნქტის მოთხოვნები.

6 საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-5 პუნქტების მოთხოვნები, კერძოდ ბუღალტრული ანგარიშგების სისრულისა და საიმედოობის პრინციპები, რომლის მიხედვითაც ანგარიშგება უნდა გამომდინარეობდეს საანგარიშო პერიოდში მომხდარი ყველა სამეურნეო ფაქტიდან და ასახავდეს რეალურ სიტუაციას.

7 აღნიშნულით არ იქნა დაცული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ დებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 და მე3-პუნქტის მოთხოვნები. ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესების“ მოთხოვნები.

რაც შეეხება მატერიალური ფასეულობების ბალანსიდან ჩამოწერას (სრულად ამორტიზებული და გამოუყენებელი აქტივები) აუდიტის პერიოდში არ განხორციელებულა, თუმცა როგორც დადგინდა ბალანსზე ირიცხება 117 ერთეული სხვადასხვა დასახელების სრულად ამორტიზებული ძირითადი აქტივები, მათ შორის: 70 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა, 32 საოფისე ინვენტარი, 4 ერთეული სხვადასხვა მანქანა/დანადგარი, 11 ავტოსატრანსპორტო საშუალება.[8]

7.2 სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხები

სააგენტოს მიერ ხშირ შემთხვევებში ფიქსირდებოდა შეუსაბამობები სატენდერო წინადადებასა და მომწოდებლების მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებებს შორის, რომელიც არ ფიქსირდებოდა სატენდერო კომისიის ოქმებში. კერძოდ:

2009 წლის 4 თებერვალს კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად გამოცხადებულ, სამ ლოტად დაყოფილ ტენდერში (I ლოტში) შპს „ალტა“ და შპს „იუ ჯი თი“ მათ მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებში გაწერილი პროდუქციის ცალკეული პარამეტრების, ტენდერის პირობებით განსაზღვრულ პროდუქციის სპეციფიკაციასთან შეუსაბამობის გამო დისკვალიფიცირებულ იქნენ. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "ორიენტ ლოჯიკი", რომლის მიერ ნაცვლად ტენდერის პირობებით გათვალისწინებული 4 გიგაბაიტიანი ოპერატიული მეხსიერებისა შეთავაზებულ იქნა 2 გიგაბაიტიანი ოპერატიული მეხსიერება.

2009 წლის 14 სექტემბერს სამ ლოტად გამოცხადებული ტენდერის I ლოტში ანალოგიური შეუსაბამობის მიუხედავად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა კვლავ შპს "ორიენტ ლოჯიკი". ორივე შემთხვევაში სატენდერო კომისიის მიერ აღნიშნული ფაქტი არ იქნა დაფიქსირებული, რაც დისკვალიფიკაციის საფუძველი უნდა გამხდარიყო.[9] თუმცა თუ სააგენტოს ესაჭიროებოდა ნაკლები ოპერატიული მეხსიერების კომპიუტერები, გაუგებარია რატომ მოითხოვებოდა ორივე შემთხვევაში სატენდერო პირობებით 4 გიგაბაიტიანი ოპერატიული მეხსიერების კომპიუტერები, მაშინ როცა დისკვალიფიცირებული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი იქნა 4 გიგაბაიტიანი ოპერატიული მეხსიერების კომპიუტერები. ხელშეკრულება №01/14/068 17.03.2009 წ. (194931 ლარი). ხელშეკრულება №01/14/194 23.10.2009 წ. (167649 ლარი).

---

[8] საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები

[9] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N 1 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-15, მე-16 მუხლის მოთხოვნები.

აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმში ანგარიშის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში.

აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები

მანანა დავითური

აუდიტორი — ხელმოწერა — 10.02.12 — თარიღი

ჯგუფის ხელმძღვანელი

მაკა დიხამინჯია

აუდიტორი — ხელმოწერა — 10.02.12 — თარიღი

ზვიად ფიფია

აუდიტორ-ასისტენტი — ხელმოწერა — 10.02.12 — თარიღი